




ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 123

2016 წლის 5 დეკემბერი

ხაშური



ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის საქმიანობის შესწავლის მიზნით
დამოუკიდებელი აუდიტის მოწვევის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად 2015 წლის წლიური ბიუჯეტის შედგენა-შესრულებისა და ფორმირების ანგარიშგების შესწავლის მიზნით, ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ მოწვეული უნდა იქნას დამოუკიდებელი აუდიტი

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის და 140-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. 2015 წლის წლიური ბიუჯეტის შედგენა-შესრულებისა და ფორმირების ანგარიშგების შესწავლის მიზნით, მოწვეულ იქნას დამოუკიდებელი აუდიტი;
2. განკარგულება აღსასრულებლად გადაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge გამოქვეყნებისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ხაშური, მ. კოსტავას ქ. № 15) ერთი თვის განმავლობაში;

საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე